UDC 339.15; 351.746
SCOPUS CODE 1401
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-39-51

გლობალიზებული მსოფლიო და საქართველოს ეკონომიკური უშიშროება

ჰენრი კუპრაშვილი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: kuprashvilihenri07@gtu.ge

მარიამ კუპრაშვილი ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: mariam_kuprashvili@yahoo.com

რეცენზენტები:

ა. სიჭინავა, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: asichinava@gtu.ge

დ. ხუფენია, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
E-mail: khupenia.d@gtu.ge

ანოტაცია. გლობალიზებულ მსოფლიოში ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემების ანალიზი მნიშვნელოვანი საკითხია. ინფორმაციულ ეპოქაში უკიდეგანოდ მზარდი გლობალიზაციის პროცესმა ეკონომიკური უშიშროების ახალი საფრთხეები გააჩინა. ამავე დროს, სახეზეა მსოფლიო სავაჭრო, სამრეწველო და ფინანსური ურთიერთობების გლობალური ეკონომიკური კომპლექსის უწყვეტ რეჟიმში აქტიური განვითარება, სადაც ეროვნული ეკონომიკები ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული, ავსებს ერთმანეთს და სულ უფრო დამოკიდებული ხდება ერთმანეთზე. ეს პროცესები ცხადყოფს, რომ აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ამ ვითარებაში წარმოშობილ ახალ, ასევე ტრანსფორმირებულ გლობალიზაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკური უშიშროების საფრთხეებზე, გამოწვევებსა და მუქარებზე. გაანალიზებულია ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი და მნიშვნელობა ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესებში და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფაზე. ამ პრობლემის საკვლევად ცალკე გამოყოფენ სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებებში არსებული ვითარების სა-

ჭიროებებს. შესაბამისად, შეტანილია კონკრეტული წვლილი შესაძლო ტენდენციების სტრატეგიული შეფასებების კვლევაში.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია; ეკონომიკური უშიშროება; ეროვნული უშიშროება; ტრანსნაციონალური კორპორაციები.

შესავალი

ინფორმაციულ ეპოქაში, როდესაც მსოფლიოში ეკონომიკის გლობალიზაცია სულ უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური გავლენა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკებზე, მათ შორის საქართველოს ეკონომიკაზე გამუდმებით იზრდება. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფისა და სახელმწიფო დამოუკიდებლობის განმტკიცების პრობლემას. სუვერენული, ერთიანი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეროვნული უშიშროების მთავარი კომპონენტის – ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფა, შესაბამისად აუცილებელია, მეცნიერული კვლევების არეალი ამ მიმართულებით გაფართოვდეს. რადგან საზოგადოების განვითარების თითოეულ ეტაპზე, ეკონომიკური ზრდის ამოცანებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფა ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

კვლევის მიზანია, გაანალიზდეს, როგორია ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი ეკონომიკური გლობალიზაციის კონტექსტში და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკური უშიშროების მდგომარეობაზე; დადგინდეს საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოში ტრანსნაციონალური კორპორაციების გაზრდილ ზეწოლასთან ეკონომიკურ პროცესებზე, რათა გამოიკვეთოს სახელმწიფოს ფუნქცია ეროვნული უშიშროების საკითხების რეგულირებაში.

კვლევა ეფუძნება თეზისს, რომ გლობალიზაციის პროცესში ეკონომიკური უშიშროება შეიძლება დაექვემდებაროს შიგა და გარე საფრთხეებს და ტრანსნაციონალური კორპორაციების მზარდ როლს ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკაში. **კვლევის მეთოდოლოგია** მოიცავს ამ ჰიპოთეზის დამადასტურებელი ფაქტების ანალიზსა და სტრუქტურირებას. მეთოდოლოგიური მიდგომები დიდწილად ემყარება უცხოელ და ქართველ მეცნიერთა თეორიებს, რომლებიც ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემებს ეხება.

აქვე გვინდა შევეხოთ ტერმინების გამოყენების საკითხს. სამწუხაროდ, ბოლო დროს მასმედიაში, პოლიტიკოსებში, სასწავლო და სამეცნიერო კვლევებში გახშირდა ტერმინების არამართებულად გამოყენების შემთხვევები. ბევრი ვერ ერკვევა სასწავლო, სამეცნიერო და სამეურნეო სფეროების მრავალფეროვნებაში, მათ შორის არსებულ განსხვავებაში. არ ითვალისწინებს ტერმინის სიზუსტის მნიშვნელობას ცოდნის კონკრეტულ სფეროში, არ უღრმავდება, რომ საყოველთაო აკადემიურ ტერმინებთან ერთად რატომ არის საჭირო ტექნიკური

ტერმინოლოგია, სპეციალიზებული ენა. მაგალითად, რატომღაც ზოგიერთებმა აითვალისწუნეს (?!) ძირძველი ქართული ზოგადსამეცნიერო ტერმინი „უშიშროება“ და თვითნებურად დაიწყეს მასმედიის გამოყენებით მისი განდევნა და ბოლო ორი ათეული წელია პრაქტიკულად ხმარებიდან ამოიღეს. შესაბამისად, შესიტყვება „ეროვნული უშიშროება“, რომელიც ჩაწერილი იყო 1995 წლის კონსტიტუციაში და 1996 წელს კანონიც იქნა მიღებული ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ, გაუაზრებლად ჩაანაცვლეს შესიტყვებით „ეროვნული უსაფრთხოება“. ამ შემთხვევაში, ზოგადმეცნიერული სიტყვა „უშიშროება“ შეცვალეს სპეციალიზებული ენიდან ნასესხები შინაარსობრივად სრულიად განსხვავებული სიტყვით „უსაფრთხოება“ ანუ 1932 წელს სპი-ში გეოლოგიის ფაკულტეტზე ხელოვნურად შექმნილი და რუსული ენიდან გადმოქართულებული ვიწროდარგობრივი ტექნიკური ტერმინით „უსაფრთხოება“, რომელიც ენათმეცნიერების მიერ პირველად ლექსიკონში შეტანილ იქნა 1957 წელს როგორც წმინდა ტექნიკური ტერმინი (მოძრაობის უსაფრთხოება, სახანძრო უსაფრთხოება, სამუშაოთა უსაფრთხოება).

ამან კი სერიოზული დარღვევა გამოიწვია სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერებების ბლოკში ანუ სფეროში, რომლის შესწავლის საგანია არა ტექნიკური საქმიანობის სფერო, არამედ სფერო, რომელიც შეისწავლის მმართველობას, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ პრინციპებს, მათი განხორციელების მექანიზმებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობებს და ა. შ. არამართებულად გამოყენებულია წმინდა ტექნიკური შინაარსის, ვიწროდარგობრივი სიტყვა „უსაფრთხოება“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ტერმინი „უსაფრთხოება“ კონტექსტურად და შინაარსობრივად სრულ შესაბამისობაშია გამოყენებული.

მოკლედ, 21-ე საუკუნის 2010-იან წლებამდე ქართულ ენაში იყო ორი ტერმინი, რომლებიც შესაბამის კონტექსტში თავთავის ადგილზე გამოიყენებოდა, მაგალითად, როგორც ინგლისურ ენაში: ტერმინი „Security“ („უშიშროება“) იხმარებოდა უმთავრესად სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში: „ეროვნული უშიშროების“ (National security), „უშიშროების საბჭოს“ (Security Council), „საინფორმაციო უშიშროების“ (Security information) და ა.შ., ხოლო ტერმინ „Safety"-ს („უსაფრთხოება“) ინგლისურ ენაში, როგორც ქართულში, საკუთარი ადგილი ჰქონდა მიჩენილი და იხმარებოდა „წარმოებაში ტექნიკური უსაფრთხოების“ (Industrial safety), „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების“ (Road safety), „უსაფრთხოების ღვედების“ (Safety belts), „ტექნიკური უსაფრთხოების წესების“ (Safety code regulations) გამოსახატავად.

ახლა მავანი ცდილობს გეოლოგიის სპეციალისტების მიერ ტექნიკურ სფეროში გამოსაყენებლად ხელოვნურად შექმნილი, რუსულიდან გადმოქართულებული ტექნიკური ტერმინი დაამკვიდროს აკადემიურ ტერმინადაც ძირძველი ქართული სიტყვის „უშიშროების“ განდევნის ხარჯზე ანუ უნდათ იყოს ისე, როგორიც, მაგალითად, რუსულ ენაშია, სადაც ორივე ტერმინის – „უშიშროების“ („Security“) „უსაფრთხოების“ („Safety“) გამოსახატავად გამოყენებულია მხოლოდ ერთი ტერმინი „Безопасность“

(რუსებისაგან უკეთესი სხვა ვერაფერი გადმოვიღეთ და ქართველმა პოლიტიკურმა მედროვეებმა მიაღწიეს იმას, რომ დღეს საქართველოშიც იხმარება მხოლოდ ერთი ტერმინი „უსაფრთხოება“, „უშიშროების“ იგნორირების ხარჯზე) [7, გვ. 92-121].

ორივე ტერმინის ანალიზი მოწმობს, რომ ტერმინ „უშიშროების“ შინაარსი და მისი გამოყენების სფეროები: ჰუმანიტარული მეცნიერებები - კოდი 02; სოციალური მეცნიერებები - კოდი 03 და სხვა არსობრივადაა განსხვავებული ტერმინ „უსაფრთხოების“ შინაარსისა და გამოყენების სფეროებისაგან: ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები - კოდი 06; ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა - კოდი 07; ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა - კოდი 09; მომსახურებები - კოდი 10 და სხვა [6].

აკადემიური ტერმინ „უშიშროების“ და ტექნიკური ტერმინ „უსაფრთხოების“ შინაარსი და გამოყენების სფეროები იმდენად ფართო და მრავალფეროვანია, რომ მათი ხელოვნურად ერთი რომელიმე ტერმინის სახელწოდებაში, მაგალითად, „უსაფრთხოებაში“ გაერთიანება მიზანშეწონილი არ არის, **რადგანაც იწვევს სწავლისა და საქმიანობის სფეროების, მათი სპეციფიკის აღრევას თუ სხვა გაუგებრობებს**.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით „ეკონომიკა“ (კოდი 0311) ჩასმულია სოციალური და ქცევითი მეცნიერებების (კოდი 031) ბლოკში, შესაბამისად, გამოყენებული უნდა იქნეს ტერმინის შესიტყვება „ეკონომიკური უშიშროება“ (Economic Security).

მოგეხსენებათ, ეროვნული უშიშროების ერთიან სისტემაში მოიაზრება მრავალი აქტუალური და სიტუაციური ქვესისტემა, მათ შორისაა აქტუალური ქვესისტემა „ეკონომიკური უშიშროება“ საკუთარი ქვესისტემებით: სასურსათო, საგარეო-ეკონომიკური, საფინანსო, საბიუჯეტო უშიშროება, სამრეწველო-ტექნოლოგიური.

მარტივი მაგალითი იმისა, რა შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული აკადემიური ტერმინი „უშიშროება“ და ტექნიკური ტერმინი „უსაფრთხოება“ ეკონომიკური უშიშროების ქვესისტემებში. მაგალითად, ტერმინ „სასურსათო უშიშროებაში“ იგულისხმება სახელმწიფოში სურსათის ამოწურვის საფრთხე, რომელმაც სამომავლოდ შეიძლება შიმშილი და სხვა თანამდევი პრობლემები გამოიწვიოს. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფაში იგულისხმება, რომ ეროვნული უშიშროების საბჭომ ხელისუფლებას უნდა მიაწოდოს რეკომენდაციების რამდენიმე ვარიანტი, რის საფუძველზეც მთავრობა შეიმუშავებს ისეთ **პ ო ლ ი ტ ი კ ა ს**, გაატარებს ისეთ წინმსწრებ ღონისძიებებს, რაც პოტენციურ მსხვერპლს ანუ ქვეყნის მოსახლეობას თავიდან ააცილებს მოსალოდნელ საშიშროებას.

„სასურსათო უსაფრთხოებაში“ კი მოიაზრება სურსათი, რომელმაც შეიძლება ადამიანის მოწამვლა გამოიწვიოს, მაგალითად თუ ის გაფუჭებულ კონსერვს გაუფრთხილებლობით შეჭამს ანუ ისევ ძველი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ესაა ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვის, სხვანაირად შრომის უსაფრთხოების, შრომის დაცვის სფერო. კიდევ უფრო ზუსტად, თანამედროვე ტერ-

მინოლოგიით, ესაა „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ (Health & Safety), შემოკლებით H&S და თანამედროვე საერთაშორისო კომპანიები ვალდებულია H&S-ით გათვალისწინებული ღონისძიებები ცხოვრებაში გაატაროს. მოკლედ, ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო პირობებში თუ თუნუქის ქილაში მოთავსებულ თევზის კონსერვს იყიდი, უნდა დაიცვა უსაფრთხოების წესები ანუ გახსნის შემდეგ დიდხანს არ უნდა გააჩერო თუნუქის ქილაში, თორემ შეიძლება მოიწამლოთ და ა.შ.

ძირითადი ნაწილი

კვლევის შედეგები და მათი განხილვა. საქართველოს ეროვნული უშიშროების, მთლიანად მისი მატერიალური და ფინანსური საფუძვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ეკონომიკური უშიშროება [7, გვ. 336-364], რომელიც ორგანულადაა ჩართული ჩვენი ქვეყნის უშიშროების სისტემის ისეთ ჩამონათვალში, როგორიცაა: ქვეყნის საიმედო თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, საზოგადოებაში სოციალური მშვიდობისა და კეთილდღეობის შენარჩუნება, ეკოლოგიური საფრთხეებისაგან დაცვა და ა.შ. ქართველი და უცხოელი ეკონომისტების ნაშრომების თანახმად, ეკონომიკური უშიშროება არის სისტემა ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, მისი მთლიანობისა და თვითგანვითარების უნარის შესანარჩუნებლად, მიუხედავად წარმოქმნილი მზარდი გარე და შიგა საფრთხეებისა. ეკონომიკური უშიშროება უნდა ჩაითვალოს საქართველოს უშიშროების მთავარ საყრდენ ელემენტად. ნათელია, რომ ეკონომიკური უშიშროება მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან სახელმწიფო ვერ იფუნქციონირებს ეკონომიკური მხარდაჭერის გარეშე. ამიტომაა აუცილებელი ეკონომიკისა და სახელისუფლებო ინსტიტუტების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების გარანტირებულ დაცვას.

ქვეყნის ეკონომიკური უშიშროება, ერთი მხრივ, არის ეროვნული უშიშროების ერთიანი სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც ახდენს ეროვნული ინტერესების დაცვის ფორმირებასა და, მეორე მხრივ, გვევლინება უშუალოდ, როგორც ეროვნული ინტერესების დაცვის პირდაპირი პირობა, დაფინანსების, შემოსავლებისა და ხარჯების განხორციელების კუთხით [2]. ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფაში იგულისხმება ეროვნული ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, რომელიც საშუალებას იძლევა შეინარჩუნოს სტაბილურობა შიგა და გარე საფრთხეების წინაშე, უზრუნველყოს მაღალი კონკურენტუნარიანობა გლობალურ ეკონომიკურ გარემოში და შეძლოს ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და დაბალანსებული ზრდა.

როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრები ეკონომიკური უშიშროების ანალიზისას ძირითადად სამ მნიშვნელოვან კომპონენტს გამოყოფენ:

- ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რაც ნიშნავს ეროვნულ რესურსებზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, ეროვნული კონკურენტული უპირატესობების გამოყენების უნარს საერთაშორისო ვაჭრობაში თანასწორი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;
- ეროვნული ეკონომიკის მდგრადობა და სტაბილურობა, რაც გულისხმობს ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტის სიმტკიცესა და საიმედოობას,

საკუთრების ყველა ფორმის დაცვას, ეფექტური სამეწარმეო საქმიანობის გარანტიების შექმნას, დესტაბილიზაციის ფაქტორების შეკავებას;

• თვითგანვითარებისა და პროგრესის უნარი ანუ ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დამოუკიდებლად განხორციელებისა და დაცვის შესაძლებლობა, წარმოების მუდმივი მოდერნიზაციის განხორციელება, ეფექტური საინვესტიციო და ინოვაციური პოლიტიკა; ქვეყნის ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალის განვითარება.

ჯეიმს ლი [9] თვლის, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური უშიშროება გარკვეულწილად შედარებითია, რაც გამოწვეულია იმით, რომ ყველაზე მაღალგანვითარებულ და სოციალურად სტაბილურ ქვეყნებშიც კი, სადაც მდგრადი პოლიტიკური რეჟიმია, პერიოდულად შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა გარე და შიგა საფრთხეები, ასევე არასასურველი უარყოფითი მოვლენები, რამაც შეიძლება იმოქმედოს ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფის დონეზე.

ქვეყანას იმ შემთხვევაში ექნება ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფის მაღალი ხარისხი, როდესაც მთავრობას და სახელისუფლებო ინსტიტუტებს შეეძლება განახორციელოს სხვადასხვა მეთოდი და მექანიზმი, რომლებიც საშუალებას მისცემს, არა მხოლოდ დაიცვას და მხარი დაუჭიროს ეროვნულ ეკონომიკას, არამედ განავითაროს უფრო მაღალ დონეზე [1].

თანამედროვე პირობებში, საქართველოს ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფაში ბევრი სიახლე შემოაქვს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას. უფრო მეტად ეს ეხება სახელმწიფოს დაცულობას ფინანსური პოლიტიკის გზით. ამ პრობლემაზე ყურადღება გამახვილებულია მურმან კვარაცხელიას ნაშრომში [8].

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის, წარმოების ინტერნაციონალიზაციისა და მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის ჩართვის პროცესში საქართველოს ეკონომიკური უშიშროება უფრო მეტად უკავშირდება საერთაშორისო ეკონომიკურ უშიშროებას.

ამავდროულად, სულ უფრო ხშირად ჩნდება მიზეზები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ქვეყნის ეკონომიკური უშიშროების მთლიანობას და საქართველოს ხელისუფლების ამოცანა ამ შემთხვევაში არის გავლენის ზონიდან გარე და შიგა საფრთხეების შემცირება ან მთლიანად გამორიცხვა [11].

ოქსანა კარდაშის აზრით, გამალებული გლობალიზაციის პირობებში თითოეული სახელმწიფოსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფა ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის, სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად [5].

პოსტინდუსტრიულ ეპოქაში გლობალიზაციის პროცესი მოიცავს მსოფლიო ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს: საგარეო, საერთაშორისო და მსოფლიო ვაჭრობა საქონლის, მომსახურების, ტექნოლოგიებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფერო; საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური, საინჟინერინგო და საინფორმაციო თანამშრომლობა; საერთაშორისო ფინანსური, საკრედიტო და სავალუტო ოპერაციები (უნაცვალგებო დაფინანსება, უსასყიდლო დახმარება, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტების კრედიტები და სეს-

ხები, ფასიანი ქაღალდების ოპერაციები, სპეციალური ფინანსური მექანიზმები და ინსტრუმენტები, სავალუტო ოპერაციები); წარმოებასთან დაკავშირებული შრომა, კაპიტალი, ინფორმაცია.

ამავე დროს, გლობალიზაციის პროცესი მრავალ საფრთხეს შეიცავს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფოს ეკონომიკურ უშიშროებაზე, რადგანაც ეკონომიკა მთელ მსოფლიოში უფრო და უფრო ღია ხდება, გამალებით იზრდება საზოგადოებრივი ბაზრების დამოკიდებულება სხვა ქვეყნების ბაზრებზე. ეკონომიკისა და საზოგადოების მზარდი პრობლემები გლობალურ ხასიათს იძენს.

თანამედროვე ეტაპზე ძირითადი საფრთხეები და შესაძლებლობები ეკონომიკური უშიშროების სფეროში წარმოდგენილია დიაგრამაში.



გლობალიზაცია ხასიათდება მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების უპირატესობით ეროვნულ ეკონომიკურ ურთიერთობებზე. გლობალიზაცია არის სახელმწიფოს ეკონომიკური უშიშროების ტრადიციული და წარმოქმნადი საფრთხეების განმტკიცების ფაქტორი, რაც შეიძლება დანახულ იქნეს ეკონომიკური უშიშროების ყველა ინდიკატორში.

გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი რე-

სურსების ინტეგრაცია სერიოზულ კონკურენციას იწვევს, განსაკუთრებით საქართველოს მსგავს ღარიბ ქვეყნებში, რადგან ამ პროცესში დომინირებს განვითარებული ქვეყნები და მრავალეროვნული კორპორაციები.

ტექნოლოგიური თვალსაზრისით, გლობალიზაცია კონვეიერის ტექნოლოგიიდან მოდულურ წარმოებაზე გადასვლაა საერთაშორისო აუთსორსინგის ფართო გამოყენებით, რესურსების მართვისა და მატერიალური ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით.

მიმდინარე ტექნოლოგიური რევოლუციის ერთ-ერთი რეალური შედეგია შრომის მნიშვნელოვანი სიჭარბე და განუვითარებელი ქვეყნების ვარდნა გლობალური ეკონომიკის ბალასტის პოზიციაზე.

ენდრიუ ნილს მიაჩნია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის წარმოებისას სახელმწიფო დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობა, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების გამოვლინებაში, ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, [10] რაც ხშირად ეკონომიკური პოლიტიკის ორ ასპექტს გულისხმობს:

- პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტების დამოუკიდებლობა სახელმწიფოს შესაბამისი განკარგულებით ან სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკურად პასუხისმგებელი სუბიექტების მიერ;

- შესაბამის ქვეყანაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტების დამოუკიდებლობა ეროვნული პოლიტიკური ბაზრებისგან, სადაც მათ შეუძლია იმოქმედოს, როგორც რეზიდენტი და არარეზიდენტი სუბიექტები (ტრანსნაციონალური კორპორაცია, ტრანსნაციონალური ბანკი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისები და ა.შ.).

ელენე ზურაბაშვილის [13] თანახმად, გლობალიზაციის შედეგად ეკონომიკური უშიშროების საფრთხეები ასოცირდება გლობალური ბაზრების გაუმჭვირობასთან, არასტაბილურობასა და უსამართლობასთან, მსოფლიო ეკონომიკის გახსნილობასთან, გლობალური კორპორაციებისა და გლობალური ეკონომიკური პროცესების დამუშავების არარსებობასთან.

გლობალიზაციის ბუნებიდან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების პროცესში სარგებლის არათანაბარი განაწილება ხდება ეროვნული ეკონომიკის ცალკეული ქვეყნებისა და სექტორებისათვის; ასევე ქვეყნის ეკონომიკაზე კონტროლის დაკარგვის შესაძლებლობა, ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლების შევიწროება [12].

ნათელია, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური როლის ზრდა გარკვეულწილად წარმოაჩენს როგორც ეროვნული ეკონომიკის უპირატესობებს, ისე შეიცავს სერიოზულ საფრთხეებს საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის დაკარგვისა და უცხოური კაპიტალისადმი დამოკიდებულების ზრდას.

მსოფლიოს უდიდესი ტრანსნაციონალური კორპორაციები სულ უფრო და უფრო აძლიერებს საკუთარ საქმიანობას და კონკურენციას. მათი გლობალურობა გამოიხატება იმაში, რომ როგორც წარმოება, ისე მათი საქმიანობის გეოგრაფია ერთდროულად ვრცელდება დედამიწის რამდენიმე კონტინენტზე. მათი ეკონომიკური მიზანია საქმიანობის ოპტიმიზაცია და მოგების გაზრდა სუსტ ქვეყნებში მცირე, ცალკეული საწარმოების ჩახშობით.

ეს ქმედებები ტრანსნაციონალურ კომპანიას ადგილობრივ კომპანიებთან არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს და შესაძლოა მათ გარკვეული უპირატესობა მიანიჭოს. ქვეყნებს, რომლებშიც ტრანსნაციონალური კომპანიები აგრესიულ პოლიტიკას ატარებს, შეუძლია გამოიყენოს მთავრობის რეგულირების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები დაბეგვრის, საბაჟო და საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში, რათა შეზღუდოს საერთაშორისო კომპანიების საქმიანობა და მხარი დაუჭიროს ადგილობრივ ინდუსტრიასა და ბიზნესს. ამის საფუძველზე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ერთ-ერთი ამოცანაა საერთაშორისო პროტექციონისტული სავაჭრო ბარიერების გამარტივება. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ქვეყანას, რომელშიც ტრანსნაციონალური კომპანიაა რეზიდენტი, შეუძლია უზრუნველყოს მთავრობის მხარდაჭერა ახალი უცხოური ბაზრების განვითარებაში, რადგან ამ შემთხვევაში კორპორაციები ხელს შეუწყობს კაპიტალის შემოდინებას იმ ქვეყნებიდან, სადაც ეს ბაზრებია, რაც ქვეყნის ბიუჯეტს დამატებით გადასახადის ზრდას მისცემს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციას შეიძლება გარკვეული სირთულეები ჰქონდეს ახალი ბაზრების ათვისებაში, მაგრამ უშიშროების უზრუნველყოფითა და მთავრობის მხარდაჭერით მათთვის ამის გაკეთება შედარებით ადვილი იქნება.

ამასთან, ტრანსნაციონალური კომპანიები არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ უარყოფითი თვალსაზრისით და მხოლოდ როგორც ქვეყნის შიგა სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უშიშროების საფრთხე. თუ ვსაუბრობთ ტრანსნაციონალური კორპორაციების მნიშვნელობაზე გლობალური ეკონომიკისათვის, მათ, როგორც წესი, აქვს კონკურენტული უპირატესობები, მათ შორის უზარმაზარი ფინანსური და მატერიალური რესურსები, ასევე მსოფლიოში ცნობილი სავაჭრო ნიშანი, მათ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა სხვადასხვა ქვეყნისა და რეგიონის მომხმარებლებში. დიდი ფინანსური რესურსები ტრანსნაციონალურ კორპორაციებს საშუალებას აძლევს ჩაატაროს ფართომასშტაბიანი მარკეტინგული კვლევა, რომლის მიზანია ბაზრის შესწავლა, მომხმარებელთა საჭიროებების დადგენა [3].

ტრანსნაციონალური კორპორაციები დღეს მნიშვნელოვან თანხებს ზოგავს წარმოების მასშტაბით, რადგან, როგორც ცნობილია, ფიქსირებული ხარჯების წილი მცირდება წარმოების გაფართოებასთან ერთად და, შესაბამისად, წარმოების ღირებულებაც, რაც კომპანიას შესაძლებლობას აძლევს შეცვალოს ფასი საბაზრო პირობების მიხედვით.

ტრანსნაციონალური კორპორაცია ხშირად იყენებს სხვა ქვეყნების იაფ რესურსებსა და ნედლეულს, რაც, ერთი მხრივ, საშუალებას აძლევს შეამციროს წარმოების ღირებულება და, მეორე მხრივ, იწვევს ამ ქვეყნების რესურსების ამოწურვას. შედეგად, საფრთხეს უქმნის სასაქონლო უშიშროებას. ჩვენი აზრით, ეს, პირველ რიგში, განპირობებულია მსოფლიო რესურსების არათანაბარი განაწილებით და შრომის საერთაშორისო დაყოფით, რადგან თითოეულ ქვეყანას აქვს საკუთარი წილი რესურსების წარმოებასა და მოპოვებაში. გლობალური მასშტაბით წარმოების ოპტიმიზაციითა და წარმოების ფაქტორების მინიმალური ხარჯების მიღწევით, ტრანსნაციონალურ კომპანიებს უზარმაზარი კონკურენ-

ტული უპირატესობა აქვს საქონლის ღირებულების შემცირებაში. მათი ფინანსური ძალაუფლების გამოყენებით, მრავალეროვნული კორპორაცია ქმნის წარმოებას სხვა ქვეყნებში, იზიდავს უფრო იაფ ადგილობრივ შრომას და გვერდს უვლის საბაჟო ბარიერებს, რომლებსაც მთავრობა ზოგჯერ ქმნის შიგა ბაზრის იმპორტირებული საქონლისაგან დასაცავად. ეს სიტუაცია შეიძლება იყოს შესაბამისი, თუ ახალი ბაზარი აშკარად მიმზიდველია, ხოლო საქონლის პირდაპირი იმპორტი არ იქნება მომგებიანი, მზა პროდუქციის იმპორტის გაზრდილი ფასების ან მაღალი სატრანსპორტო ხარჯების გამო.

მთავრობებთან პრობლემებისა და მონოპოლიზმის ბრალდებების თავიდან ასაცილებლად, საერთაშორისო კორპორაცია რესურსებს ძირითადად იმ ქვეყნებში დებს, სადაც უფრო ლმობიერი საგადასახადო კანონები, დაბალი საბაჟო გადასახადები და სატრანსფერო ფასებია. ეს, თავის მხრივ, მათ საშუალებას აძლევს, თავი აარიდოს გადასახადებისა და მოსაკრებლების ნაწილის გადახდას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მრავალეროვნული კორპორაციების ჩამოყალიბებაში დომინანტურ როლს სხვადასხვა ფაქტორი ასრულებს. მაგალითად, აშშ-ში ეს ძირითადად ფინანსური კაპიტალია, იაპონიაში – მსხვილი კომპანიების ორგანული შერწყმა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საფრანგეთში, იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და სხვა ქვეყნებში სახელმწიფოს საკოორდინაციო როლი ეროვნული კორპორაციების საქმიანობაში ძალიან დიდია [4]. ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის მთავრობა დღემდე ხელს უწყობს მსხვილი და განშტოებული კორპორაციების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფილია საშემოსავლო გადასახადის შეღავათებით; კონტრაქტები შეთავაზებულია ძირითადად არსებული საკონტრაქტო სისტემის საშუალებით, ასევე სამთავრობო პროგრამებში პრიორიტეტული მონაწილეობით. სამხედრო ბაზარზე მომუშავე ფირმები განსაკუთრებული პოზიციით სარგებლობს. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა მათთვის შემსუბუქებულია ან მთლიანად გაუქმებულია, ასევე გათვალისწინებულია საექსპორტო კვოტები და შეღავათები. ყველა ეს ფაქტორი ერთად მათ საშუალებას აძლევს, დაიპყროს ახალი ბაზრები და ქვეყნები, იყოს მდგრადი კრიზისული მოვლენების მიმართ.

ამრიგად, საქართველოსათვის ტრანსნაციონალური კაპიტალი საფრთხეებს ქმნის ეროვნულ-ეკონომიკურ უშიშროებაში, ესენია:

– სურსათისა და სამომხმარებლო საქონლის იმპორტზე დამოკიდებულების ზრდა;

– მსოფლიო ბაზრების უარყოფითი გავლენა შიგა ბაზარზე;

– სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ცალმხრივი განვითარება;

– საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის დონის შემცირება საერთაშორისო კაპიტალისგან და ა.შ.

გარდა ამისა, საქართველოს ბაზრების საერთაშორისო კორპორაციების მიერ ხელში ჩაგდება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ადგილობრივ მწარმოებლებს, ვინაიდან ისინი ყოველთვის ვერ უწევენ კონკურენციას ტრანსნაციონალური კორპორაციების პროდუქტებს ხარისხითა და ფასით. ამ მხრივ, მთავრობამ უნდა გაატაროს პროტექციონიზმის პოლიტიკა ადგილობრივი მწარმოებლების მიმართ, ლობირება მოახ-

დინოს მათ ინტერესებზე და დაიცვას შიგა ბაზარი ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ დემპინგის ფასებისა და მონოპოლიისაგან.

დასკვნა

ამრიგად, განხილულია ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი და მნიშვნელობა ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესებში, მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკური უშიშროების დონეზე, ასევე ძირითადი საფრთხეები, რომლებიც წარმოიქმნება ქვეყნის შიგა ბაზრებზე მრავალეროვნული კორპორაციების საქმიანობის დროს.

ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა დავასკვნათ, რომ თანამედროვე პირობებში, როდესაც ეკონომიკის გლობალიზაცია სულ უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე განუხრელად იზრდება. ტრანსნაციონალური კომპანიები, კონკურენტულ უპირატესობებთან ერთად, საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ უშიშროებას სუსტ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა დაარეგულიროს ტრანსნაციონალური კომპანიების წვდომა ქვეყნის შიგა ბაზარზე და დაიცვას ადგილობრივი მწარმოებლების ინტერესები პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარებით. გამალებული გლობალიზაციის პირობებში სტრატეგიულად მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფა, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის, სუვერენიტეტის შენარჩუნების მიზნით.

ლიტერატურა

1. Abralava, A. (2018). Georgia in the space of global relations: socio-economic vision. Higher education institution "Georgia" - International scientific conference "Georgia and global development, current issues of economy and business". Collection of works "Iveroni". No. 10, Tbilisi, p. 36-38 (In Georgian);
2. Aladashvili, B. (2011). Economic security. Theory, methodology, practice. Tbilisi: society "knowledge" (In Georgian);
3. Beda A.A. (2024). Foreign Economic Aspects of Ensuring Economic Security. Administrative Consulting. 4, 146-157. https://doi.org/10.22394/1726-1139-2024-4-146-157NIWFFY
4. Farrell, H. A.L. Newman (2019) 'Weaponized Interdependence: How Global Economic Networks Shape State Coercion', International Security 44 (1): 42–79
5. Kardash, O. (2017). theoretical and methodological principles of the country's economic security assessment. international journal of new economics and social sciences (ijoness), 6(2), 108-119. https://doi.org/10.5604/01.3001.0010.7628.
6. Kuprashvili, H. (2024). Expanding the Scope and Area of Academic Scientific Research in the Information Age. Works of GTU. №1 (531), p. 108-120. https://shromebi.gtu.ge/admin/uploads/შრომა%20N1%2C%20531%2C%202024/011-KUPRASHVILI.pdf (In Georgian);

7. Kuprashvili, H. (2022). The National Security of Georgia. Tbilisi: Universali (In Georgian);
8. Kvaratskhelia, M. (2023). Global problems and Economic Security. "Economy - XXI century" Proceedings of the international scientific conference of the Gugushvili Institute of Economics. Tbilisi. TSU (In Georgian);
9. Lee, J. (2024). Defining Geoeconomics, Economic Statecraft, and the Political Economy of National Security. The Oxford Handbook of Geoeconomics and Economic Statecraft Vinod K. Aggarwal, and Tai Ming Cheung (eds). (online edn, Oxford Academic, 22 Feb) https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780197673546.013.3
10. Neal, Andrew W. (2020). 'Security as a Whole-of-Government Project: Risk, Economy, Politics', Security as Politics: Beyond the State of Exception. Edinburgh. https://doi.org/10.3366/edinburgh/9781474450928.003.0007
11. Otinashvili, R. (2021). Security in Company Management., Works of GTU. №2 (520), p. 67-75. ISSN 1512-0996, www.shromebi.gtu.ge (In Georgian);
12. Sichinava, A., (2021). Investments. Tbilisi, GTU (In Georgian);
13. Zurabashvili, E. (2023). Modern Trends of Globalization in International Economic Relations. "Economy - XXI century" Proceedings of the international scientific conference of the Gugushvili Institute of Economics. Tbilisi. TSU (In Georgian).

UDC 339.15; 351.746
SCOPUS CODE 1401
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-39-51

Globalized World and Economic Security of Georgia

Henri Kuprashvil Department of Political and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: kuprashvilihenri07@gtu.ge

Mariam Kuprashvili Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: mariam_kuprashvili@yahoo.com

Reviewers:

A. Sichinava, Pofessor, doctor of economic science,Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, GTU
E-mail: asichinava@gtu.ge

D. Khupenia, Assistant Professor, Doctor of international relatons, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: khupenia.d@gtu.ge

Abstract. The topic refers to the analysis of the problems of ensuring economic security in the globalized world. In the information age the vastly growing process of globalization has created new threats to economic security. At the same time, there is an active development of the global economic complex of world trade, industrial and financial relations, where national economies are interdependent and intertwined and complement each other. Time after time they become more and more dependent on each other. These processes make it clear that it is necessary to focus on the threats, challenges and threats of economic security related to the new and transformed globalization arising in this situation.

The article analyzes the role and importance of transnational corporations in the processes of economic globalization and their impact on ensuring the country's economic security. Separation of this problem will meet the needs of the current situation in social and economic sciences. Accordingly, a specific contribution to the study of strategic assessments of possible trends has been made.

Keywords: Globalization; Economic Security; National Security; Transnational Corporations.

განხილვის თარიღი 11.11.2024
შემოსვლის თარიღი 27.11.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2025